



6078/4-2/21 2 15062021

6078/4-2/21

15-06-2021

საქართველოს იუსტიციის მინისტრს,
ბატონ რატი ბრეგაძეს

ბატონო რატი,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

1. ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების შედეგად გამოწვეული პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში, რა პერიოდის განმავლობაში ჰქონდათ შეზღუდული პატიმრობაში მყოფ პირებს პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული საოჯახო, ხანგრძლივი და ხანმოკლე პაემნით სარგებლობის უფლება და კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა აღნიშნული შეზღუდვა (გაზრდილი იყო უფლებით სარგებლობის ინტერვალები, თუ საერთოდ ვერ სარგებლობდნენ ამ უფლებით)?
2. ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების შედეგად გამოწვეული პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში, რა პერიოდის განმავლობაში ჰქონდათ შეზღუდული პატიმრობაში მყოფ პირებს პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლება და კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა აღნიშნული შეზღუდვა (გაზრდილი იყო უფლებით სარგებლობის ინტერვალები, თუ საერთოდ ვერ სარგებლობდნენ ამ უფლებით)?
3. ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების შედეგად გამოწვეული პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში, მოქმედებდა თუ არა პატიმრობაში მყოფი პირების მიმართ სხვა სახის შეზღუდვები? დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ამ შეზღუდვების არსისა და მოქმედების პერიოდის შესახებ.

4. ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების შედეგად გამოწვეული პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში, რა სახის შეზღუდვები რჩება ძალაში პატიმრობაში მყოფი პირების მიმართ და რა პირობების დადგომის შემთხვევაში იქნება შესაძლებელი მათი მოხსნა?

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
მიხეილ სარჯველაძე

მ. სარჯველაძე



საქართველოს იუსტიციის მინისტრი

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge



KA01014114855221

28 / ივნისი / 2021 წ.

№8524

საქართველოს პარლამენტის წევრს,
ბატონ მიხეილ სარჯველაძეს

ბატონო მიხეილ,

თქვენი 2021 წლის 15 ივნისის №6078/4-2/21 წერილის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

1) „პატიმრობის კოდექსის“ 58-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სტიქიური უბედურებისას, ქვეყანაში საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადებისას, **სიცოცხლისათვის საშიშ დაავადებათა ეპიდემიისას** და მასობრივი არეულობისას, აგრეთვე, თუ პენიტენციური დაწესებულება დაზიანდა ან აღარ გამოდგება კანონით გათვალისწინებული მიზნებისათვის, სპეციალურ პენიტენციურ დაწესებულებაში შეიძლება შემოღებულ იქნეს განსაკუთრებული პირობები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, პენიტენციურ დაწესებულებაში განსაკუთრებული პირობების შემოღებას ახდენს სამსახურის გენერალური დირექტორი იუსტიციის მინისტრთან წერილობითი შეთანხმებით, არაუმეტეს 15 დღის ვადით. საჭიროების შემთხვევაში აღნიშნული ვადა მინისტრის თანხმობით შესაძლებელია, გაგრძელდეს გონივრული ვადით, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გარემოების აღმოფხვრამდე.

პენიტენციურ დაწესებულებებში ახალი კორონავირუსის (2019-nCoV) გავრცელების პრევენციისა და მართვისათვის საჭირო ღონისძიებების გატარების უზრუნველყოფის მიზნით 2020 წლის 5 მარტიდან სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციურ დაწესებულებებში შემოღებულ იქნა განსაკუთრებული პირობები. განსაკუთრებული პირობების მოქმედების პერიოდში ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებს შეუჩერდათ „პატიმრობის კოდექსით“ განსაზღვრული საოჯახო, ხანგრძლივი და ხანმოკლე პაემნებით სარგებლობის, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის,

აგრეთვე, განსაკუთრებულ, პირად გარემოებებთან დაკავშირებით პენიტენციური დაწესებულების დროებით დატოვების უფლება.

2020 წლის 5 მარტიდან 2020 წლის 25 მაისამდე თავისუფლებაა აღკვეთილ პირებს შეჩერებული ჰქონდათ საოჯახო, ხანგრძლივი და ხანმოკლე პაემნებით სარგებლობის უფლება. 2020 წლის 25 მაისიდან განსაკუთრებული პირობების მოქმედების პერიოდში ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებს მიეცათ კუთვნილი ხანმოკლე პაემნით სარგებლობის უფლება მხოლოდ მინის გამყოფი ბარიერის მიღმა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესაბამისად.

ქვეყანაში ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გამწვავების გამო ხანმოკლე პაემნით სარგებლობის უფლება განსაკუთრებული პირობების მოქმედების პერიოდში ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებს, ასევე, შეუჩერდათ 2020 წლის 28 ნოემბრიდან 2021 წლის პირველ იანვრამდე.

2) 2020 წლის 5 მარტიდან მსჯავრდებულებს, ასევე, შეუჩერდათ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლება, რაც გაგრძელდა 2020 წლის 5 ივნისამდე. 2020 წლის 5 ივნისიდან განსაკუთრებული პირობების მოქმედების პერიოდში მსჯავრდებულებს შესაძლებლობა მიეცათ, ესარგებლათ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დროებით დატოვების უფლებით, თუ მიღებული იქნებოდა სარწმუნო ცნობა მსჯავრდებულის ახლო ნათესავის გარდაცვალების ან სიცოცხლისათვის საშიში ავადმყოფობის თაობაზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებული თანხმობას განაცხადებდა, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში დაბრუნებიდან არანაკლებ 14 დღის განმავლობაში სხვა მსჯავრდებულებსგან განცალკევებით განთავსდებოდა პენიტენციური სისტემის შესაბამის ტერიტორიაზე არსებულ საკარანტინე სივრცეში.

3) 2020 წლის 28 ნოემბრიდან 2020 წლის 28 დეკემბრამდე ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებს შეჩერებული ჰქონდათ „პატიმრობის კოდექსით“ განსაზღვრული ამანათების მიღების უფლება. შეზღუდვას განაპირობებდა ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის დაცვისა და ვირუსის გავრცელების რისკის მინიმუმამდე შემცირების მიზნები, დარგის სპეციალისტების მიერ გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად.


4) დღეის მდგომარეობით, მსჯავრდებულებს შეჩერებული აქვთ საოჯახო და ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლება. სპეციალური პენიტენციური სამსახური მიმართავს ყველა ძალისხმევას, რათა სისტემაში არ გავრცელდეს ვირუსი, დაცულ იქნეს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

ქვეყანაში ინტენსიურად მიმდინარე ვაქცინაციის პროცესი იძლევა იმის საფუძველს, რომ უახლოეს მომავალში პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ მსჯავრდებულებს შეეძლებათ კუთვნილი საოჯახო და ხანგრძლივი პაემნის უფლებით სარგებლობა. აქვე აღვნიშნავთ, რომ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ჩართულობით, სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლები და საპატიმროში მყოფი პირები შესაბამისი

პრეპარატებით აქტიურად იტარებენ ვაქცინაციას.

პატივისცემით,

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელემენტრონულად 

რატი ბრეგაძე